№ 104. მაისის 13, კვირა. 1866—1884 მაისის 13, კვირა. № 104.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

„დროების“ რედაქცია — სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ქილაძების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით — 8 მ.; 9 თვით — 7 მ 50 კ.; 8 თვით — 7 მ.; 7 თვით — 6 მ; 6 თვით — 5 მ.; 5 თვით — 4 მ. 50 კ.; 4 თვით — 4 მ.; 3 თვ. — 3 მ.; 2 თვ. — 2 მ.; 1 თ. — 1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

---

**სამშაბათს, მაისის 15-ს**

თბილისის სამუსიკო ზალაში

**ბ. ფ. ი. ქორიძე გამართავს**

## კონცერტს,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ბბ. ი. ი. რატიანი, გ. ი. რიაბინინი და სცენის მოყვარენი ბ. მიქელაძე, ზერიძე, კიკნაველიძე, ბალანჩივაძე და ნ. კონტრიძე.

სხვათა-შორის ამ საღამოზედ იქნება ბ. ქორიძისგან ნოტებზედ გადაღებული

**ქართული ხმების გალობა.**

დასაწყისი 8 საათზედ. — ბილეთების წინადვე სყიდვა შეიძლება ლონდონის მაღაზიაში, კომერციის ბანკის ქვეითა სართულში. (2—1)

---

«ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» მმართველობა ამით აცხადებს, რომ დღეს 13 მაისს, დილის 10 საათზე, იქნება საზოგადო წლიური კრება საზოგადოების წევრთა „წერა-კითხვის საზოგადოებისავე“ ზალაში, სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან, „დროების“ რედაქციის ქვეშ, შემდეგის საგნების განსახილველად:

1) მოსმენა და დამტკიცება საზოგადოების საქმეთ-წარმოებისა 15 მაისიდამ 1883 წ. 15 მაისამდე 1884 წ.

2) მოსმენა და დამტკიცება მომავალის წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა და

3) ამორჩევა საზოგადოების ახალ წევრთა. (6—6)

---

## საზიზღარი ჯაშუშობის ნიმუში.

თბილისი, მაისის 13-ს.

ენატანიობა ისეთი ხელობაა, რომელიც ბავშვებსაც კი საზიზღრად მიაჩნიათ და, წარმოიდგინეთ, ეს საზიზღარი საქციელი რამდენ ხარისხამდე უნდა ავიდეს, როდესაც ენატანიობის მაგალითის მაჩვენებლად გამოდის რომელიმე გაზეთის ან ჟურნალის რედაქცია. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ გვარს არა-სანატრელს მაგალითს წარმოგვიდგენს «მწყემსის» რედაქცია. ვამბობთ «სამწუხაროდ» და გულწრფელადაც ვამბობთ, რადგან ერთად-ერთი სპეციალური ორგანო, რომელზედაც დიდს იმედს ვამყარებდით და რომელსაც სიამოვნებითაც მივეგებენით, ეხლა ჯაშუშთა საბუდრად გადაქცეულა. იგი ისე აბუჩად იგდებს საზოგადოებას, რომ რასაც სხვანი, სინიდის-მოკლებულნიც კი, ყურში უჩურჩულებენ ხოლმე თავიანთ მფარველებს, რადგან თავიანთ ბინძური თვისების დამალვა საჭიროდ მიაჩნიათ, — «მწყემსის» რედაქცია იმითვე ამაყობს და საქვეყნოდ იარაღადა ხმარობს...

ახლა გავაცნობთ ამ გვარ ნიმუშს ჩვენს მკითხველებს და იმედი გვაქვს, მასუკან აღარ დაგვჭირდეს ხელ-ახლავ მასთან ამ საგანზედ ლაპარაკი და ხელმეორედ გადაფურცვლა მის წინაშე იმ უწმინდური ფურცლებითა, რომელსაც გაზეთი „მწყემსი“ ჰქვიან.

ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი შენიშვნა მის შესახებ, რომ ქორწინების დროს გლეხებს უჭირდებათ საჭირო მოწმობების შოვნა, რადგან რამდენიმე მოწმობა უნდა წარადგინონ და ყოველ მოწმობაზედ 60 კაპეიკიანი მარკა უნდა იყოს დაკრული. ამის პასუხად დაბეჭდილი იყო «მწყემსში» წერილი, «იმერელი მღვდლისაგან» ხელ-მოწერილი. ჩვენმა კორესპონდენტმა პასუხი მისცა, საბუთებიც წარუდგინა და თან დაუმატა — «იმერელმა მღვდელმაც კარგად უნდა იცოდეს ეს საბუთები და განსაკუთრებით «მწყემსის» რედაქტორმა ბლ. დ. ღამბაშიძემაცაო».

ბლ. დ. ღამბაშიძემ „უეჭველია“ იცის ის საანბანო კანონი ბეჭდვისა, რომ რედაქტორი პასუხის-მგებელია იმ წერილებისა, რომელნიც მის გაზეთში იბეჭდებიან, მაშასადამე, ყველასა აქვს ნება, რომ უსაყვედუროს რედაქტორს — ესა-და-ეს წერილი რად დაბეჭდეო. ჩვენის კორესპონდენტის პასუხშიაც ამ საყვედურის მეტი არა იყო-რა და სრულებით ხსენებაც არ იყო იმაზედ, ვითომ „იმერელი მღვდელი“ იგივე ბლ. დ. ღამბაშიძე ყოფილიყოს. და აი ბლ. ღამბაშიძე გაწყრა ვითომ-და ფსევდონიმის გამოაშკარავებისათვის, როდესაც ფსევდონიმის გამოაშკარავება ფიქრადაც არავის მოსვლია, და შემდეგი სიტყვებით მომართა ჩვენს რედაქციას.

„ყველამ კარგად იცის და „დროების“ რედაქციამ, სირცხვილია, არ იცოდეს, რომ ფსევდონიმის გამოაშკარავება არ არის მიღებული ლიტერატურაში. „მწყემსში“ დაბეჭდილ წერილზე მოწმობის მოთხოვნის შესახებ, ხელი ჰქონდა მოწერილი იმერელ მღვდელს და არა ბლ. ღამბაშიძეს (მერე ვინ მოგახსენებთ, რომ ბლ. ღამბაშიძესა ჰქონდაო?!)... თვრამეტი წლის გაზეთმა, სირცხვილი არის, არ იცოდეს უბრალო ლიტერატურული წესი! ამ სტატიის დამწერის, იმერეთის ეპარხიის კანცელარიის სეკრეტრის თანა-შემწის, ბ. ე. მჭედლიძისაგან ყველაფერს უნდა მოველოდეთ, და სხვ.)

მასუკან მიაცივდება ბ. ღამბაშიძე ბედკრულს ბ. მჭედლიძეს, რომელიც არც სულითა და არც ხორცით არ არის დამნაშავე, და იწვევს მას მოედანზედ პირდაპირ გამოსასვლელად.

ახლა რითი აიხსნება ეს მოქმედება ბ. ღამბაშიძისა? ღამბაშიძემ კარგად იცის, რომ ესეთი ლობეყორეში ძრომა სხვის ფსევდონიმის გამოაშკარავებისთვის საზიზღარი მოქმედებაა და ამ საზიზღარის მოქმედების გასამართლებლად სხვას დააბრალა ის, რის ჩადენასაც თითონ აპირობდა.

ჩვენ იმიტომ კი არ მივაქციეთ ყურადღება ამ საგანს, რომ ბ. მჭედლიძეს გამოვესარჩლოთ, რომელსაც იქნება ჩვენს გაზეთთან არაფერი კავშირიც არა ჰქონდეს და არც საჭიროებდეს ჩვენს გამოსარჩლებას. ჩვენ გვინდოდა მხოლოდ ბ. ღამბაშიძის ლიტერატურული — აღმოგვეჩინა და სალიტერატურო ასპარეზიდამ გაგვეგდო.

---

## შინაური ქრონიკა

— თითქმის დღე არ გავა ისე, რომ თბილისში თავ-მოყრილი თავად-აზნაურობა სადმე არ შეიკრიბოს ხიზნების საქმეზედ მოსალაპარაკებლად. ამ დღეებში უნდა მოხდეს კრება ბ. გუბერნატორის თანადასწრებით და თავად-აზნაურობას სწადიან, რომ იმ დრომდის რაიმე საერთო აზრი დაადგინოს და მოუმზადებელი არ გამოცხადდეს. მომეტებული ნაწილი თავად-აზნაურობისა იმ აზრისაა, ვითომ ეს საქმე ადვილად გადასაწყვეტი იყოს და კმარიყოს გამოცხადება, — ესა-და-ეს მამული ამა-და-ამ მებატონეს ეკუთვნის და შეუძლიან, როცა უნდა, ხიზნები მამულიდამ დაითხოვოსო. უმცირესობა კი იმ აზრს ადგას, რომ საქმის ყოველმხრივ შეუსწავლელად და პროგრამის შეუდგენლად შეუძლებელია ხიზნების საქმე გამოირკვეს, ხიზნებსა და მამულის-პატრონებს შორის საცილობელი აღარა დარჩესო.

— ვინ არ იცის, რომ ჩვენი სახელოვანი თბილისი ჰიგიენურისა და სანიტარულის მხრივ განწყობილს და განათლებულს ქალაქს ოდნავაც არ ჩამოჰგავს. ჰაერი უსუფთაო და ყოველნაირ ყნოსვათა არა საგემებელი სუნელებით სავსეა; წყალი მურტალი, სასმელ-საჭმელი მოწამლული, აბანოები ბინძური და ჭირიანი. თბილისის პირველი გოსპიტლის სტატისტიკურის ანგარიშიდამ დავრწმუნდით, რომ უმეტესი ნაწილი (ნახევრზედ მეტი) იქ მყოფი სიფილისით ავადმყოფობისა ავად გამხდარან აბანოებში და განსაკუთრებით კი იმ საროსკიპოში, რომელიც მირზოევის აბანოების ახლო არსებობს. რომ ვინმე იყოს ყურის-მგდებელი, ეს ადგილი კირ-წყლით ამოსაფუფქავია.

— ამას წინად ჩვენს მკითხველებს ვაცნობეთ, რომ თბილისში ყვავილის სახადია და სახადთან საბრძოლველად სპეციალისტების კომისიაც არის შემდგარი. ყვავილის დასასუტებლად ყოველ-გვარ საშუალებაზედ უფრო სასარგებლო საშუალებად მეცნიერება აღიარებს ყვავილის აცრას და აცრის პერიოდულად გამეორებას. საქმით კი სრულებით არა სჩანს, რომ ხსენებული კომისია ჯეროვანს ყურადღებას აქცევდეს ამ საშულებას.

— მომავალს სამშაბათს, მაისის 15-ს, დანიშნულია კონცერტი ბ. ქორიძისა, რომელმაც ყოველ საქმეს თავი დაანება და ქართულის ხმების შესწავლას და ნოტებზედ გადმოღებას შეუდგა.

კარგა ხანია, რაც ეს საპატიო არტისტი ამ ახალ საქმეს ებრძვის და ცდილობს იგი ხელ-ახლად აღორძინოს.

ამ კონცერტზედ საზოგადოებას საშუალება ეძლევა ღირსეულად დააფასოს მშრომელის ღვაწლი.

ჩვენის ხმების ნოტებზედ გადაღებას ზოგნი ევროპიელნი ცდილან, მაგრამ დღევანდლამდინ ეს მეცადინეობა უნაყოფოდ დარჩენილა, რადგანაც გადაღებულის ხმებისთვის თავისებურება ვერ გადაუციათ.

გულით ვისურვებთ, რომ ამ მხრით ბ. ქორიძე სხვებზედ ბედნიერი იყოს.

— მთებიდგან გვატყობინებენ კიდევ, რომ ის საქონელი, რომელიც საკვებავად ზამთრობით შირაქში იყო გარეკილი, უსაჭმლობისა და ყვავილის გამო მეტის-მეტად დაზიანდა. ამბობენ, რომ ზოგ მეცხვარეს შირაქიდგან ჯოხის მეტი აღარა მოჰყოლიაო. გამოჩენილს მეცხვარეს ხარანაულს, რომელმაც საზამთროდ შირაქში 5000 თავი ცხვარი გაგზავნა, გაზაფხულისთვის 1000-სი სული ძლივს-ღა დაუდგა.

— ბათუმიდგან გვწერენ, რომ რამდენიმე არტისტი ქართული დრამატიული დასისა უკვე მივიდენ იქა და ამ დღეებში წარმოდგენებს დაიწყებენო. საზოგადოება მოუთმენლად მოელის ამ წარმოდგენებსაო.

— როგორც ზოგი ერთი წევრი ქართული დრამატიული საზოგადოების მმართველობისა გვატყობინებს, ამ მაისის დამლევს საზოგადოების წლიურს კრებას მოახდენენო. თუ ეს სიტყვები გამართლდა და საზოგადოებამ კრება მოახდინა, უეჭველია, ხალხი

ძალიან ცოტა დაესწრება, რადგანაც ამ ხნისთვის თბილისის საზოგადოება ქალაქიდგან გავა.

მაგრამ მმართველობას ეს რას დაუშლის, —უფრო შინაურები არ იქნებიან?!.

## კრება

### თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ბანკის წევრთა.

(დასასრული*)

ბანკის წლიური ანგარიშის დამტკიცების შემდეგ ბატონი კვალიაშვილი ეკითხება ზედამხედველის კომიტეტის წევრს დ. ყიფიანს: ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი და გადაჰხდეს ის ზარალი, რომელიც ბანკს მოუვიდა დამფასებელთაგან ცუდად დაფასებისაგამო?

დ. ყიფიანი. პასუხის-მომცემი და ზარალის გადამხდელი უნდა იყოს თვით საზოგადო კრება, რადგანაც მისი ამორჩეულნი არიან დამფასებლები.

ბ. კვალიაშვილი. გამოდის, რომ დამფასებლები დაუსჯელნი ყოფილან და მათგან ზარალის ზღვევაც შეუძლებელი ყოფილა, რადგანაც პასუხისგება საზოგადო კრებას ედება, და საზოგადო კრება კი თავის-თავს არასოდეს პასუხსაც არ მოსთხოვს, არა თუ სამართალში მისცეს!...

ილ. ჭავჭავაძე. ფინანსთ სამინისტროში მუშაობენ დაფასების ახალს წესზედ და აგრეთვე დამფასებელთა პასუხისგებაზედ და, იმედია, საქმე უკეთესად შეიცვალოს იმ ახალის წესის წყალობით.

ბ. კვალიაშვილი. როდისღა შემოიღებენ იმ ახალ წესსა?

ილ. ჭავჭავაძე. სხვის მაგიერ პასუხის მოგება არ შემიძლიან, მხოლოდ იმას კი მოგახსენებთ, რომ სამინისტროში შრომობენ მაგ საგნისათვის.

ბ. კვალიაშვილი. სანამდის მაგ წესს შემოიღებდენ, მანამდის რაღა ვქნათ?

ილ. ჭავჭავაძე. მანამდის მოთმინებას შევეჩვიოთ! (სიცილი).

თავმჯდომარის მაგიერ გამგეობის წევრი ბ. ივ. მაჩაბელი ჰკითხულობს ზედამხედველი კომიტეტის წინადადებას ბანკის მოგების 35% (22,426 მ.) განაწილებაზე საზოგადო საჭიროებისათვის. ამ წინადადებისა მებრ ეს მოგება უნდა განაწილებოდა: სააზნაურო სკოლას 20,000 მან. და დანარჩენი 2,426 მანეთი კი თელავის საქალებო წმ. ნინოს სასწავლებელს, გორის საქალებო სასწავლებელს და ილ. წინამძღვრიშვილისაგან გამართულს სამეურნეო სკოლას.

დ. ჰვალიშვილი. ამ კრების წევრთა უმრავლესობა რომ დასწრებოდა გუშინწინდელს კრებას სააზნაურო სკოლის საზოგადოებისას და მოესმინა, თუ რამდენი საჭიროებანი აქვს მას, ეჭვი არ არის, რომ მთელს მოგებას ბანკისას კრება მისცემდა ამ სკოლას. თელავის საქალებო სასწავლებელი და სხვ. კარგი რამ არის, ეჭვი არა გვაქვს, მაგრამ საჭიროა არსობითად ერთს სკოლას დავეხმაროთ, ერთი სკოლა ვასაზრდოოთ რიგიანად. თუ მთელი მოგების მიცემას ეხლავე ვერ გადასწყვეტთ, მიანდვეთ მაინც ზედამხედველს კომიტეტს, რომ მან ხელ-ახლავ განიხილოს მოგების განაწილების საგანი...

ილ. შალიკაშვილი. სააზნაურო სკოლა სხვაზე უფრო საჭიროა და საყურადღებო, მაგრამ სულ ყველაფერი იმას მიეცეს, არ შეიძლება... ცოტა საქალებო სკოლებსაც ვუწილადოთ. ხანდახან ქალებსაც ნუ დავივიწყებთ!

კოსტ. მამაცაშვილი. ყოველივე სკოლა, რომელიც არსებობს და დაარსდება ჩვენში, დიდად სასურველია და შემწეობის ღირსი გახლავსთ. მაგრამ რა ვქნათ, რომ საშუალება ნებას არ გვაძლევს არა თუ ყველას, არამედ რამდენიმე მათგანსაც არის შევეწიოთ! სრული ეს მოგება თუ სააზნაურო სკოლას არ მივეცით, მისი არსებობა შეირყევა!...

ი. შალიკაშვილი. აკი წინა წლებში ვუწილადებდით ხოლმე საქალებო სასწავლებელთაც? წელს რაღა დაგვემართა?

გ. მამაცაშვილი. თქვენ ნუ გაიწყდებათ, რომ ამ სკოლას ყოველ-წლივ ემატება კლასები, რომ ის თან-და-თან იზრდება.

ი. შალიკაშვილი. განა ჩვენი დები და ქალები კი არ იზრდებიან! (სიცილი).

თავს-მჯდომარემ დაადგინა კითხვა: „მიეცეს, თუ არა სრული თანხა მოგებისა საზოგადო საჭიროებათათვის გადადებული სააზნაურო სკოლას“? დიდმა უმრავლესობამ ხმა მისცა სრულად მიცემისათვის.

სხდომა დაიშალა ნაშუადღევის სამს საათზე.

სხდომა მესამე, მაისის 9.

გამგეობის წევრი ივ. მაჩაბელი ჰკითხულობს ხარჯთა-აღრიცხვას, რომელშიაც შემდეგი ახალი ხარჯებია შემოტანილი: 5000 მანეთი პეტერბურგში აგენტის დანიშვნისათვის გირავნობის ფურცლების გასაწალდებლად; 3000 მანეთი ზედამხედველის კომიტეტის წევრთათვის ჯილდოდ მორიგის სხდომისათვის; 1000 მანეთი შესამატებლად იმ თანხისა, რომელიც არის გამგეობის ხელში მოულოდნელ ხარჯთათვის, და 800 მანეთი სეკრეტრისა და ბუხჰალტერის თანაშემწის ჯამაგირების გასაძლიერებლად. აგენტისათვის 5000 მან. გადადებამ ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია დ. ჰვალიაშვილისა და ილ. ჭავჭავაძის შორის. პირველი ამტკიცებდა, რომ შეუძლებელია, მეტადრე მაგისთანა მცირე ფულით ბირჟაზე ავიჩინოთ ისეთი კაცი, რომელსაც საფინანსო ასპარეზზე რაიმე მნიშვნელობა ჰქონდესო; მეორე კი არღვევდა ამას, უთითებდა იმ ფაქტზე, რომ ერთმა ცნობილმა ბირჟისმომქმედმა 2000 მანეთადაც კი ფეხზე წამოაყენა პოლტავისა და ხერსონის ბანკების საქმე, და დასძინა, რომ ყოველ შემთხვევაში გამგეობა ამ თანხას მაშინვე კი არ დახარჯავს, მაშინვე კი არ დანიშნავს რომელსამე პირს აგენტად, არამედ უფრო დაწვრილებით შეიმუშავებს ამ საგანს, შეიძლება, აგენტის ნაცვლად მთელი აგენტურა დააარსოს პეტერბურგში, შეიძლება, თვითვე უარ-ყოს დანიშნვა აგენტისაც და აგენტურისაც...

ბაასი იმით გათავდა, რომ გადასწყვიტეს, ხუთსავე ახალს მუხლს ხარჯთა აღრიცხვისას უყარეს კენჭი და კენჭით ყველა დაამტკიცეს...

ამის შემდეგ, გამგეობის წევრმა ივ. მაჩაბელმა წაიკითხა ბანკის გამგეობის მოხსენება შესახებ ½% მოკლებისა შემოსატანი ფულიდამ. ბაასში მონაწილეობა მიიღო თ. რევაზ ვახნაძემ, დ. ჰვალიაშვილმა, გ. გაბაშვილმა, ანტ. ფურცელაძემ, ნ. ამატუნმა და გუბერნიის თავად-აზნაურთ წინამძღოლმა თ. დ. სუმბათაშვილმა.

პირველნი ოთხნი საფუძვლიანად და მჭევრ-მეტყველურად ამტკიცებდენ, რომ არამც და არამც არ მოეკლოთ ½%, რადგანაც ის შეღავათის მაგიერ უფრო ვნებას მოიტანს, როგორც ბანკისათვის ისე საზოგადო საქმისათვის უპირატესად, რადგანაც ამ ½% მოკლებით ბანკს, ვარაუდად რომ ვსთქვათ, მოაკლდება 21,000 წლიური მოგება—სწორედ იმდენი, რამდენიც საჭიროა დღეს სააზნაურო სკოლის (200 შაგირდიანის) შენახვისათვის... მეორე ორნი კი იცავდენ სესხთაგან პროცენტების მოკლების აზრს.

პროცენტის მოუკლებლობის ერთი მომხრეთაგანი (გ. გაბაშვილი), სხვათა-შორის, იმით ასაბუთებდა თავის სიტყვას, რომ ჩვენში უმეტესი რიცხვი მსესხებელთა ბანკს ჰყავს სოფლებში, რომელთაც უხშირესად წვრილ-წვრილი ვალები აქვსთ და ეს ½% რომ მოვაკლოთ იმათ, ოთხი-ხუთი თუმნით ნაკლები სარგებლის გადახდა თუ შეხვდებათ, მეტი არა. ეს მაინცა და მაინც საგრძნობი შემსუბუქება არ არისო. ეჭვი არ არის, ეს მოკლება შემსუბუქებად ჩაითვლება ქალაქელ მსესხებელთ უმეტესის რიცხვისათვის, რომელთაც ასი-ორასი თუმანი მოაკლდება წელიწადში გადასახადიდამ, მაგრამ ქალაქელნი უმცირესობას შეადგენენ მსესხებელთა საერთო რიცხვთან შედარებით — და უმცირესობის ინტერესს კი უმრავლესობის ინტერესი არასოდეს არ უნდა შეეწიროსო.

სიტყვის უფლება ითხოვა ნაპოლეონ ამატუნმა და წარმოსთქვა: «ბატონებო! ზოგიერთის ორატორის სიტყვებში რომ უკანა აზრებია, ეს, მგონია, ცხადია თქვენთვისაც. უმცირესობის სახელით თქვენ გულის-ხმობთ სომხებს; ეს არის მთავარი მიზეზი, რომ თქვენ არ გინდათ % მოკლება. ეს არ გეკადრებათ, ბატონებო! ბანკი საზოგადო საქმეა, აქ არ უნდა იყოს გარჩევა სომხისა და თათრისა, ქართველის და ფრანცუზის შორის (ხანგრძლივი სტვენა კრებაში.) მე მზადა ვარ დავეთანხმო, ბატონებო, რომ ჩემი სიტყვები ღირსია თქვენის სტვენისა, რადგანაც იგინი არ იქვნენ ღირსნი ამ კრებისა, მაგრამ გარწმუნებთ, რომ % მოკლება შესძენს თქვენს ბანკს იმდენს, რაც პირველ ხნობით მოაკლდება მოგებას. თუ ასე არ ყოფილიყო, განა გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი ბანკისა წარმოგიდგენდათ თქვენს საზარალო წინადადებას? ასე გახლავთ ეს. თუ % მოკლება თქვენს სააზნაურო სკოლას არსებობას გაუჭირვებს—მაშინ მე პირველი დავეთანხმები, რომ % არ მოაკლდეს.

საძაგელი შთაბეჭდილება მოახდინეს ამ მეტის-მეტად თავ-დაუჭერელმა, უადგილო და ვადნიერმა სიტყვებმა საზოგადოებაზე...

სიტყვა ითხოვა ანტ. ფურცელაძემ. ნუ თუ რომელიმე ხალხისათვის საწყენი უნდა იყოს, რომ ქართველი კაცი თავის ბანკის % მოუკლებლობით ცდილობს თავის საზოგადოსთვის? ნუ თუ რომელიმე ხალხმა უნდა დაინახოს თავის საზარალოდ ქართველების მეცადინეობა თავის საქმეების წარმატებისათვის? არამც თუ დაინახოს თავის საზარალოდ — და თავიც ვერ შეიკავოს, რომ თავის წყენა არ წარმოსთქვას საქვეყნოდ! რად იტკიცა ამატუნიმ და რად ეწყინა ჩვენი სიტყვები? რად დაინახა ისინი სომხების წინააღმდეგად? ჩვენ დიდიხანია, სომხებს ვუყურებთ, როგორც ჩვენს მოძმეებს, მაგრამ, როდესაც ჩვენმა სიტყვებმა ისე აალელვეს ბ-ნი ამატუნი, როგორც სომეხი, და მან იწყო რაღაც უბრალო წასარჩლება, ამით ის თვითონვე გვაგდებს გულის—ხმაში, რომ ჩვენი საზოგადოს დაცვა და წარმატება არის საზარალო ს—თვის და თვითონ სო—ბი ჰგონებენ თავის თავს იმ ხალხად, რომელისაგან **мы находимся въ осадномъ положеніи** (ჩვენ ალყა გვაქვს შემორტყმული) და რომელთ შემოსევისაგან ჩვენ გვმართებს შემოზღუდვა!

თ. ნ. ხოდაყაშვილი. მე, ჩემდა თავად, იმას მოგახსენებთ რომ თუმცა ბანკის ერთი დიდ მსესხებელთაგანი გახლავარ, თუმცა მაგ % მოკლება მე მომაკლდება წელიწადში 00—400 მანეთს გადასახადს, მაგრამ რაკი მაგმოკლებით მოაკლდება ბანკს მოგება, რაკი მაგ მოგების შემცირებით ჩვენის შვილების გამოზრდის საქმეს შეუსუსტდება საფუძველი, —დაე ჩემს ჯიბეს მოაკლდეს, მაგათ შეეძინოს, დაე მე შევწუხდე, ოღონდ-კი მაგათ იცოცხლონ დღეგრძელობით! (ტაში).

თ. ზაქ. ანდრონიკაშვილი. ყოველს დაწყებულებს საფუძველი უნდა ჰქონდეს, ყოველს საქმეს მსხვერპლი უნდა. % მოკლებით რომ მოაკლდება ბანკის მოგებასაც—ეს მხოლოდ ბრმათათვის არ არის ცხადი. მოგების შემცირებით რომ ჩვენვე ვიზარალებთ—ესეც არ უნდა იყოს გაუგებარი. მაგრამ, ვსთქვათ რომ % მოუკლებლობით იზარალებენ ბანკის არა თუ ქალაქელნი, არამედ სოფლელნი მსესხებელნი. მერმე რაო? იცით, ბატონებო, ვისი დაარსებულია ეს ბანკი, ვისთვის აფუძნებდენ მას და რა ჰქონდათ მისი დაფუძნების აზრად? მთე-

*) იხილე „დროება“ № 103.

ლი საქართველოს თავად-აზნაურობა არის მისი დამფუძნებელი, მთელის საქართველოსათვის არის იგი დაფუძნებული, რომ მისის შემოსავლებით ჩვენის შვილებისათვის სასწავლებელნი დავუფუძნებინა, რომ საბოლოვოდ ჩვენს ქვეყანას არ მოკლებოდა ნათელი სწავლისა! მაშასადამე, რას შეადგენს მსესხებელთ რიცხვი მთელს საქართველოსთან? ერთს წვეთს! ნუ დაივიწყებთ, რომ რაც და ვინც აქა ვართ — ასი ათასი ამდენი ქართველნი ამ სახლის გარედ არიან, და მათაც იმდენი ინტერესი აქვთ ამ ბანკში, რამდენიც ჩვენ. მაშ, ჩვენ კიდევაც რომ წაგვახდინოს ამ მოკლებამ %, და — წავხდეთ ქვეყნისათვის, ოღონდ საქართველოს კი ნუ დაუკარგავთ სახსარს განათლებისას!

თავ. ილ. ჭავჭავაძე. მე ვწუხვარ, რომ აღელვებული გრძნობა მაიძულებს თქვენი ყურადღება მივაქციო იმ ჭეშმარიტად სამწუხარო ეპიზოდზედ, რომლის მიზეზი შეიქმნა წინ-დაუხედავი სიტყვა თ. ამატუნისა. ჩვენს ბანკს და ჩვენს საზოგადო კრებას, ჩვენს მოქმედებას და ჩვენს სიტყვას ვერავინ ვერ შეჰსწამებს მტრობას რომლისამე ნაციისადმი. ამისთანა შეწამებას არც ერთს მაგალითს, არც ერთს საბუთს ვერ უპოვიან. თუ აქ დღეს მოიხსენიეს ქალაქელები, რად უკვირთ და რად არა ჰსწამთ, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს მარტო და მარტო ქართველი. თბილისი ქართველთა ქალაქია. ყოველივე აქ მცხოვრები, ვიდრე აქ ჰსცხოვრებს, ქართველია. ყველანი ერთად ჩვენი ძმები არიან, ყველასათვის ერთ-გვარად გული შეგვტკივა. რომ ეს ასეა, ცხადად დაგვანახვა ჩვენ ჩვენმა დღევანდელმა კრებამ, რომელმაც ასე აშკარად არ მოუწონა თ. ამატუნს წინ-დაუხედავი სიტყვა. ამ არ-მოწონებაზედ თ. ამატუნმა სთქვა, რომ ამისთანა კრება უღირსია ჩემის სიტყვისაო. დიაღ, უღირსია! უღირსია იმიტომ, რომ ჩვენი საკუთარი ღირსება იმოდენაზედ მაღლა ჰსდგას, რომ თ. ამატუნისგან აღებული სათაკილოვე შესახებადაც კი ვერ მისწვდება.

ილია ჭავჭავაძის სიტყვის შემდეგ თავმჯდომარემ დადგა ყუთი $1/2$ % მოკლებისათვის კენჭის საყრელად, მაგრამ კრების თხოვნით გადიდვა სხდომა და კენჭის ყრა შემდეგ დღისათვის.

სხდომა მეოთხე, მაისის 10.

კრების გახსნისათანავე თ. ვას. მაჩაბელმა წარმოსთქვა სიტყვა % შემცირების შესახებ, რომელშიაც იცავდა იმ აზრს, რომ % შეუმცირებლობა აუცილებლად საჭიროა, როგორც ბანკის საკეთილ-დღეოდ, ისე თვით ქართველობის სასარგებლოდ, რადგანაც პირ-და-პირ მათს საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად რიგდება ბანკის მოგებაო. „უმცირესობას თუმცა სწყინს % შეუმცირებლობა დ თავის საზარალოდ ხედავს ამას, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, ბატონებო, რომ ბანკი დაარსებულია უმრავლესობისათვის და არა უმცირესობისათვის! რომ სასიამოვნო იქნება ამ საგანს საპატიო კრება უკენჭოთ ერთ-ხმად გადასწყვეტდესო.

აღტაცებულის ტაშით მიიღო კრებამ მისი სიტყვები და მართლაც საერთო ხმით დადასწყვიტეს იგივე პროცენტები იღონ სესხზე, რამდენსაც დღემდის იღებდენ.

შემდეგ გამგეობას მოსთხოვეს ცნობები დამფასებელი კომისიისა და ზოგიერთ მისი წევრების მოქმედების თაობაზე. ვინც დანაშაული აღმოჩნდა ცუდათ დაფასებაში, ის მიცვალებული გამოდგა...

ხელი მიჰყვეს გამომავალი დირექტორის ჩოლაყაშვილის მაგიერის არჩევას. კრებაში კანდიდატებად დასახელდა იგივე ა. ჩოლაყაშვილი, გ. გაბაშვილი და თ. რაფიელ ერისთავი. მეორე ამათგანმა უარი სთქვა კენჭის ყრაზე. დადვეს ყუთი ორისათვის. ამორჩეულ იქმნა ა. ჩოლაყაშვილი 227 ხმით წინაალმდეგ 45. თ. რაფიელ ერისთავი კი დარჩა ისევ კანდიდატად...

დირექტორის არჩევის შემდეგ დამფასებლების არჩევაზე მიდგა საქმე. გამოდიოდენ ორი დამფასებელი: რ. ა. ჩოლაყაშვილი და ბეჟ. რატიშვილი. კანდიდატად დაასახელეს 7 კაცი, კენჭი უყარეს და ამოუვიდათ:

რ. ა. ჩოლაყაშვილს 198 თეთრი, 73 შავი, ბ. რატიშვილს—137 თეთრი 134 შავი, ლ. ერისთავს—121 თეთრი 150 შავი, ლ. ჩერქეზიშვილს—104 თეთრი 167 შავი.

ორს ახლად ამორჩეულ დამფასებელს, როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, კანდიდატებად ამოურჩიეს თ. ლ. ერისთავი და თ. ლ. ჩერქეზიშვილი.

## «დროების» კორესპონდენცია

**სოფ. ხაშმი**, მაისის 3-ს.—სამწუხარო სანახავია სოფელი ხაშმი და მისი მცხოვრებნი სიცივისა და სეტყვისაგან აოხრებული ვენახებით. თბილისის გუბერნიაში ხაშმისთანა ვაზისათვის საუკეთესო ნიადაგი არ მოიპოვება; ამისათვის მცხოვრებნი საკუთრად ვაზის გაშენებას და მოვლას უწყობენ ხელს.—აქ დიდი მინდორია ვენახებად გაშენებული. ღვინო დგება ჩინებული თვისებისა და კარგ ფასადაც იყიდება ადგილობრივ. თბილისელ სირაჯებს ხაშმი ისე ეგულებათ, როგორც საკუთარი სარდაფი; ცუდ ამინდებში, როდესაც შორიდგან ღვინის მოტანა შეუძლებელია ან გასაჭირო: სირაჯი მოჰმართავს ხოლმე ხაშმსა და ოცდა ათი ვერსის სიშორიდგან თავის დროზედ დუქანს სავაჭრო მასალას აშველებს.

იშვიათი იქნება აქაური მცხოვრები, რომ საგრძნობელი ვალი არ ემართოს, მაგრამ ეს ვალი სულ არ აწუხებს მას, როდესაც ჰხედავს ჩინებულად დასხმულ ვაზებს.—ბევრჯელ წაუხდენია ვაზები ზუნების მოვლინათა და სხვა სნეულებას, მაგრამ შრომის ფასი, ვალის სარგებლის მოსაშორებელი კიდევ მიუციათ პატრონისათვის; მიწის მოსავლითაც უსარგებლოათ.—მაგრამ ეხლა სულ სხვაა: პირველ კვირტის გამოტანის დროს აღტაცებაში მოჰყავნდა ვენახის პატრონი: თითო კვირტის ადგილს ორი და სამი გამოჰქონდა; თითო კვირტი ორი და სამი მტევნით დიდ იმედს უღვიძებდა გულში პატრონს. 23 აპრილს მოსულმა სეტყვამ და ნიაღვარმა ააოხრა ერთი მხრის ვენახები და დარჩა სანუგეშოდ მეორე მხრისა.—ოცდა ცხრა აპრილს დაიწყო საშინელი ცივი ქარი და მაისის სამამდის განუწყვეტლივ ჰქროდა. მაისის სამს ღამე ქარი ჩადგა, ცა მოიწმინდა და დადო რთვილი; ოცდა ოთხს დადგა მჭიანი და ცხელი დღე და შუადღემდის სულ გაჰკნა ვაზის კვირტი და მცენარეულობა.—ამ მაისის პირველ რიცხვებში, როცა ვაზის რქა ასახვევი უნდა იყოს და კარგად გაფოთლილი, აქაურობა შუა ზამთარს მოგაგონებთ.

სამწუხარო სანახავია უფრო ვალიანი გლეხი, რომელმაც მომეტებული სამუშაო დრო მოანდომა ვენახის გაკეთებას; ვენახის შემოსავლის იმედით ცოტა მოხნა პურის მოსაყვანად; შემოდგომის უწვიმობამ ის მცირე ნახნავიც მოუცდინა, ვენახი და ვენახის მიწის მოსავალი სიცივემ და სეტყვამ წაუხდინა და ცხოვრება კი თავისას თხოულობს: მოვალე ვალს, ცოლ-შვილი კვებას და სახელმწიფო გადასახადი შესრულებას.—უიმედო, ღრმად დაფიქრებული, გულზედ-ხელებ დაწყობილი შეჰყურებს ცას და ეკითხება—სით გადავარდეთ?

ურიგო არ იქნება მთავრობამ მიაქციოს ყურადღება ამ უკიდურესს მდგომარეობას გლეხებისას და წლევანდელი გადასახადი მერმისისათვის გადიდოს.

ლბთვიანიშვილი.

## რუსეთი

— სამხედრო სამსახურში მომსახურეთ, როგორც «ნოვოე ვრემიას» შეუტყვია, მოემატებათ პენსია 25 პროცენტით საემირიატურო ფონდიდან.

— როგორც სამხედრო სამინისტროს გადაუწყვეტია, წელს ჯარში სამსახურისთვის ორას-ოც-და-ოთხი ათასი კაცი უნდა გამოიწვიონ, ე. ი. ექვსი ათასი კაცით შარშანდელზე მომეტებული.

— გაზეთი „ნოვოსტის“ სიტყვით, სამზღვარ-გარედ ძლიერ დიდი მოთხოვნილება არის რუსეთის ხე-ტყისა, ასე რომ როგორც პეტერბურგიდან წყლით, აგრეთვე სხვა ადგილებიდან ხმელეთით დიდძალი შენობის ხე-ტყე უნდა წაიღონ სამზღვარს გარედ. მარტო მემელში ხუთი თუ ექვსი მილიონის მანათისა უნდა გაიგზავნოს ეს საქონელი.

— სამხედრო საექიმო აკადემიაში, მომავალ სამოსწავლო წლიდამ ისევ გაიხსნება პირველი ორი კურსი, რომელიც ამ ორი წლის წინად დაიკეტა და მიიღებენ იმათ, ვისაც კლასიკური გიმნაზია აქვთ გათავებული.

რიგის გაზეთები გვაცნობებენ, რომ ბაპსალის მაზრაში ექვსამდინ სექტა შემდგარა. მართლ-მადიდებლობას ბევრი იღებს თურმე, როგორც ყმაწვილები, აგრეთვე ბერი-კაცები და ამას დიდი შთაბეჭდილება აქვს ხალხზე.

— ბორისოგლებსკის ერობის გამგეობაში აღმოუჩენიათ რამდენიმე ათასი მანეთის უკანონოდ დახარჯვა; ამბობენ, რომ ამ ფულში გუბერნიის ერობის საზღვეველი ფულიც ურევია, რომელიც იმ გლეხ-კაცობისთვის უნდა დაერიგებინათ, ვისთვისაც ცეცხლს ზარალი მიუციაო.

— ქალაქ ჟიტომირში ერთი ურიის სადგომში, ყალბი ჩაის გაკეთება აღმოუჩენიათ, ტომრებში ორ ფუთზე მეტი ჩაი უპოვიათ. თითონ ამ ჩაის გამკეთებელი სულ სალებავითა ყოფილა მოსვრილი და დაუტუსაღებიათ. დიდ-ძალი ბანდეროლები უპოვიათ, რომლებზედაც წერებულა: «ძმ. პაპოვების ამხანაგობისაო», ბევრი პლომბები ამავე ფირმისა და ჩაის შესალები მასალა, ასე რომ ჟიტომირის მცხოვრებლები, განთქმული პაპოვის ჩაის მაგივრად, რაღაცა სისაძაგლესა სვამდენ, ამასთან მავნებელი საფერავით შეღებილს.

— მოსკოვის ტყის საზოგადოება, რუსეთში ტყის წარმოების გასაუკეთესებლად და იმის შესატყობად, რა მდგომარეობაშია ეხლა ტყის გაშენება, აპირობს მთელი რუსეთის ტყის გაშენების გამოფენის გამართვას. ეს გამოფენა ხარკოვში იქნება 1885 წელს, შემოდგომაზე, როცა გათავდება ხარკოვში დანიშნული ბუნების მეტყველთა კრება. ამ გამოფენაზე იქნება: 1) სხვა-და-სხვა ხეები და ბუჩქები, 2) თესლი სხვა-და-სხვა ტყის ხეებისა; 3) იარაღები, რომელთაც ტყის გაშენებისათვის ხმარობენ; 4) პლანები და პროექტები კარგად შემუშავებული მამულებისა; და 5) ერთის სიტყვით—ის საგნები, რომელთაც რაიმე დამოკიდებულობა აქვთ ამ გამოფენასთან.

— წელს ორხანგელის და ვოლოგდის გუბერნიებში გამართული იქნება საეურნეო კოლონიები იმათთვის, ვინც გადასახლებას მოინდომებენ.

— აპრილის 22-ს, ტვერის ახლო, ფუტკრის მოშენების სასწავლებელი გაიხსნა. ეს სასწავლებელი ეკუთნის თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებას. ფუტკრის მოშენების გარდა, შეგირდებს ბოსტნის მოყვანასა და სტალიარობას ასწავლიან. სკოლაში იღებენ იმათ, ვისაც სახალხო სკოლის კურსი გაუვლიათ. ფასი შეგირდის სასწავლებელი და შესანახავი წლიწადში 150 მანათია. კურსი სამი წლისაა.

— აი ერთი სურათი, რომელიც კარგად გვიხატავს ჩვენი რკინის გზის

ბობოლებს: გზის დირექტორთან მოვა ერთი რკინის გზაზე მოსამსახურე, რომელსაც თანამდებობის ასრულების დროს, ოროქლით მატარებელმა ფეხი მოაგლიჯა.

— მორჩითო? ჰკითხავს დირექტორი.

— მოვრჩი, მაგრამ აი ცალი ფეხი აღარა მაქვს და აღარც სამსახური შემიძლიანო.

— რა გნებავთ ეხლა?

— მთხოვეთ, ბატონო დირექტორო, ჯილდო მიბოძოთ.

— ჰმ, ჰმ, — ჯილდო თქვენ ვერ მოგეცემათ.

— მე ხომ თქვენთან სამსახურმა დამასახიჩრა.

— მართალია, მაგრამ თქვენ რომ ენება მოგეცათ, ეგ შეიძლება ბედნიერებად ჩავთვალოთ.

— ?!

— თქვენ ფეხი მოგტყდათ, — უხსნის დირექტორი: ჩვენს სამკურნალოში ეს ფეხი მოგჭრეს და ეხლა ერთი ფეხი რომ დაგრჩათ, მარტო ერთი წაღა მოგინდებათ, და, რასაკვირველია, ამით ბევრი ფული დაგრჩებათ. ეხლა თქვენ თითონ იფიქრეთ, როგორ ჰბედავთ ჯილდოს თხოვნას?

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

მაისის 12.

**არხანგელსკი.** მდინარე დვინის მოვარდნამ დიდი ზიანი მოიტანა; სოფლები წაღეკა, სახლები ძირიანად აღმოფხვრა და რამდენიმე ასი სული გააუბინადროვა.

**ბერლინი.** აქაური გაზეთები ამბობენ, რომ რუსეთის იმპერატრიცას მიუწერია თავის უავგუსტოსის მეუღლისა და მშობლისათვის, რომ მის დიდებულებას ძლიერ სასიამოვნოდ დარჩენია იმპერატორის ვილჰელმისაგან ტკბილად მიღება ბერლინზე გავლის დროს.

**ლონდონი.** იმ ცნობებიდგან, რომელნიც გუშინ საზოგადოებათა პალატაში გლადსტონმა და ფრიცმორისმა წარმოადგინეს, სჩანს, რომ ხართუმს გარშემო ჯერ კიდევ აჯანყებულები არტყიან; ბერბერში და დონგოლში უფრო მშვიდობიანობაა; მაჰხდი ჯერ კიდევ კორდოფანშია, რადგან მისნი მომხრენი არ აძლევენ ნებას მიიღოს მონაწილეობა ომში თეთრს ნილოსზედ.

# განცხადებანი

—

**ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისა** აცნობებს ხსენებულის ბანკის ბბ. წევრთა, რომ ამ ბანკის წესდების § 79-ს ძალით, წლიური მორიგი საზოგადო კრება დანიშნულია ამა წლის 30 **მაისისათვის, დილის 11 საათზე, ქ. ქუთაისს,** ბანკის გამგეობის სადგომში.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები არიან შემდეგნი:

ა) განხილვა და დამტკიცება 1883 წლის ბანკის ანგარიშისა.

ბ) დამტკიცება ამა 1884 წლის ბანკის ხარჯების აღრიცხვისა.

გ) შეცვლა ზოგიერთთა ბანკის წესდების §§.

დ) აღნიშვნა იმ საგნებისა, რომელთაზედა უნდა მოხმარებულ იქმნას საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გადადებული თანხა.

ე) აღრჩევა რიგით გამოსასვლელთა მაგიერ: გამგეობის თავმჯდომარისა, ორთა წევრთა ზედამხედველის კომიტეტისა და გამგეობის წევრთა ერთის კანდიდატისა. (1—1)

ა ბ ა ნ ო გ ო გ ი ლ ო!

**ჰავლაბარში, კახეთის ქუჩაზედ,** წმინდის გრიგოლ-განმანათლებლის ეკლესიის გვერდზე, წყალი ესე საშუალოდ თბილია, თვისება და მოქმედება ამ წყალისა ფრიად შესანიშნავი, რომელიც შემოწმებულია ბატონ დოქტურებისაგან. დიდათ სასარგებლო წყალია გოგილო, სხვა-და-სხვა სატკივრებისა. ე. ი. ქარებისათვის, მუწუკებისათვის, ტანის-ქავილისათვის და სხვა ამ გვართა მკურნალი, კვალად სასარგებლო მრთელთა და უტკივართაცა. ამა წყალსა პირველს და მეორეს გაბანებითვე უთუოდ იგრძნობს რომელსამე განახლებასა; ზოგიერთა პირნი კიდეც ყოფილან. სამზღვარს-გარედ სხვა-და-სხვა წყლებისა ბანებითა ვერ მიუღიათ განკურნება, როგორათაც ჩვენმა გოგილომ განკურნა და განათავისუფლა იგინი, რომელთაცა შეგვასმინეს და ჩვენცა გვეუბნებიან, შემდეგ ამისა, სამზღვარ-გარეთულად გავაკეთეთ ვანები, აგრეთვე ცალკე ნომერი და ოთახი, რომელიც შესაძლო იქმნება თვეობით ანუ დღიურობითაც დაქირავება. (2—1)

# მუნჯი

ილარიონ მარკოზის-ძე ნადარეიშვილი,

ყმაწვილი 14 წლისა

# დაიკარგა

და არ იცის კაცმა სად წავიდა; მშობელი ეძებს და სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას ვინც იცის თუ სად არის ხსენებული მუნჯი აცნობოს აბაშის სტანციაში ათანასე ნადარეიშვილს. (3—3)

გამოვიდა და ისყიდება:

გ ა ნ კ ი ც ხ უ ლ ი.

მოთხრობა

ა. მ. მოხნუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ათი შაური.

ისყიდება: თბილისში, «დროების» რედაქციაში და შავერდოვის წიგნების საგენტოში.

ქუთაისში. ჭილაძის მაღაზიაში.

თელავში. ბ. როსტომაშვილთან.

ფოთში. ბ. ხუმარაძის მაღაზიაში.

(20—2)

**უჰალიერი** ახალი მხატვრობით მომავალის სეზონისათვის მიღებული ბლომად და სხვა-და-სხვა გვარი საწყობში ოდესის ფაბრიკის.

მმების ტარნოპოლისა

ლორის-მელიქოვის (ფოსტის) ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სასულიერო სემინარიის პირდა-პირ.

ფასი იგივე, რაც ფაბრიკაზედ 10 კაპეიკიდგან მოკიდებული.

(30—4)

თამამშოვის ქარვასლის საკუთრად თევზეულის მაღაზიაში ისყიდება მარტში დაჭერილი თევზეულობა: [illegible] გიელი, დოში, სათალი და სხვ. [illegible] ყოველ დღე ისყიდება მოხარშული თევზეული. (3—1)

სამასწავლებლო ინსტიტუტის მოსწავლე ეძებს

# მაკვეთილს;

ქალაქ გარეთაც გაჰყვება. ადრესი „დროების“ რედაქციაში. (10—3)

თბილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ იმის თანადასწრებით, ამა მაისის 18, დილის 12 საათზედ, მოხდება

# გაჭრობა

იჯარით გაცემაზედ ორ-ეტაჟიანი შენობებისა ქალაქის სასახლეში ერევნის მოედანზედ. ვისაც ამ შენობების აღება სურს, შეუძლიანთ ნახონ პლანიცა და პირობებიც გამგეობის საშენობო განყოფილებაში (**строительное отдѣленіе Управы**) ყოველ-დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდე, გარდა კვირა და უქმე დღეებისა. (3—1)

ი ვ ე რ ი ი ს რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

მიიღება ჯერ კიდევ ხელის-მოწერა ჟურნალს

# „ივერიაზედ“

ფასი მთელის წლით 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის — 5 მან. რამდენიმე სრული ეგზემპლიარი წარსულის წლის „ივერიისა“ უკვე გაიყიდა და ამისათვის მისი დაბარება აღარ შეიძლება. (10—3)

000000000000000000000000000000000000000000000000

კ ა ვ კ ა ს ი ი ს ს ა ვ ა ჭ რ ო ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა

საავთიაქო საქონლისა

თბილისში

მიღებულია **მინერალური წყლები** სამზღვარ-გარეთული და კავკასიისა **ამ გაზაფხულზე შემზადებული.**

ლავაშები (ლეპიოშკები), მარილები სასმელებისათვის და ვანნებისათვის.

ტერმომეტრები ვანნებისათვის.

სხვა-და-სხვა ზომის იარაღები (გაზოქენები) სელტერისა და მუშხუნა წყლების მოსამზადებელი თავიანთ პოროშოკებით. (70—3)

000000000000000000000000000000000000000000000000

ს ა გ ლ ო ბ უ ს ო 

კ ა ლ მ ე ბ ი

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი საგენტო ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «ხელისათვის» — 25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმედად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტასტები, საკარძლები, სარკეები, საკარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწვგები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შროტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაგნიტოშები, კრაკები, საქქიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

**პატაშკი — 20 კ.** (100—86)

*Доз. ценз. Тифлисъ, 12 Мая 1884 г.* სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.